ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5756286

ნომერი: AR1869057

თარიღი : 28.12.2021

გაცემის თარიღი : 10.01.2022

გაცნობის თარიღი : 10.01.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ძლიერიშვილი პ/ნ 35001005358
- რუსთავი გ.ოდიშარიას ქ. კორ. 25 ბ. 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2021 წლის 28 დეკემბრის №AR1869057 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 28 დეკებერს №AR1869057 განცხადებით მომართა კობა ძლიერიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 15

ივნისის №5451341 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, 2021 წლის 15 ივნისის №5451341 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, №1-ში მდებარე №01.14.14.003.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 15 ივნისიდან 2025 წლის 15 ივნისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5451341 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 41643.0 კვ.მ-ის ნაცვლად 41932 კვ.მ-ის, ხოლო კომერციულ ფართობად 1942.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1943.0 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, განმარტავს რომ +34.59 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს საზაფხულო ფართობი 3868 კვ.მ.
სამსახურმა, წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საცხოვრებელ, კომერციულ და საზაფხულო ფართობებში არასწორად არის ჩათვლილი საჰაერო შახტების, კოლონებისა და გამყოფი კედლების ფართობები. ამასთან, საზაფხულო ფართობში არასწორად არის ჩათვლილი საპროექტო შენობის არაექსპლუატირებადი ფართობები, მაგ.: +34.59 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ფართობი არ წარმოადგენს საზაფხულო ფართობს, შესაბამისად ვერ ჩაითვლება საზაფხულო და საერთო ფართობებში. გაითვალისწინეთ, რომ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც.
განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ემუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო, კომერციულ და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5451341 ბრძანებთ შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე) შესწორებული საცხოვრებელი, საზაფხულო და კომერციული ფართობების დაფიქსირებითა და ექსპლიკაციის გამოტანით (წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ ის გეგმები, რომლებზეც ხდება ფართობების დაზუსტება, სხვა გეგმების წარმოდგენა საჭირო არ არის).
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2021 წლის 28 დეკემბრის №AR1869057 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge